



გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 156

2022 წლის 12 აგვისტო
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის
სააგენტოს (ს/ნ 418471059) 2021 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის
ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს (ს/ნ 418471059) 2021 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს (ს/ნ 418471059) 2021 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით რაზმაძე

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის
სააგენტოს მიერ 2021 წლის სექტემბრის თვიდან 2022 წლის დღემდე განვლილი
მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგეხსენებათ, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს შემადგენლობაში შედის: შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა, გორის რაიონში არსებული სხვადასხვა სპორტული სექციებით, გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა, ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლა, ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა, გიორგი კანდელაკის სახელობის სოფელ ვარიანის კრივის სკოლა, მოსწავლე-ახალგაზრობის სპორტული ტურიზმის ცენტრი, მიუდოს კლუბი „Golden Gori“ და თავისუფალი ჭიდაობის კლუბი „F.W.Skhireli club“. სავარჯიშო-საწვრთნელი საქმიანობა მიმდინარეობს სპორტის შემდეგ სახეობებში:

1. კალათბურთი;
2. ხელბურთი;
3. ფრენბურთი;
4. ტანვარჯიში;
5. ჩოგბურთი;
6. ძალოსნობა;
7. მძლეოსნობა;
8. რაგბი;
9. კარატე-დო;
10. ტაეკვანდო;
11. კიკ-ბოქსინგი;
12. კრივი;
13. ქართული საბრძოლო ხელოვნება;
14. მეკლდეურთა წრე;
15. თავისუფალი ჭიდაობა;
16. ქართული ჭიდაობა;
17. მიუდო;
18. ჭადრაკი;
19. მკლავჭიდი;
20. სამბო.

2022 წლის ივლისის თვის მდგომარეობით, დამუშავებულ იქნა სპორტსმენტთა სტატისტიკა, სქესისა და ასაკის მიხედვით .

სკოლების მიერ წარმოდგენილი ელექტონული ცხრილების მიხედვით ინფორმაცია სპორტულ სკოლებში რიცხული ბავშვების (სპორტსმენტების) შესახებ ასეთია:

სპორტული სკოლის დასახელება	ბავშვთა(სპორტსმენთა) რაო-ბა:	მ.შ. გოგო:
შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა	1527	403
ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლა	110	6
მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტული ტურიზმის ცენტრი	10	4
მეკლდეურთა წრე	20	4
გიორგი კანდელაკის სახელობის ვარიანის კრივის სკოლა	88	6
ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა	159	0
გურამ შაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა	459	17

სულ:

2373

440

სტატისტიკა:

ასაკი	ბავშვთა (სპორტსმენთა) რაოდენობა
6-9 წელი	548
10-13 წელი	780
14-17 წელი	707
18-22 წელი	268
23 წლიდან	70

განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. სააგენტოს სასწავლო პროცესის წარმომადგენლები ეტაპობრივად ესწრებოდნენ სხვადასხვა სპორტული სექციების ვარჯიშებს, საწვრთნელი პროცესის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

2. სააგენტოში სასწავლო-საწვრთნელი პროცესის წესში შეტანილ იქნა გარკვეული ცვლილებები სასწავლო-საწვრთნელი მეთოდოლოგიის დახვეწის მიზნით, რაც ამჟამად სპორტულ სკოლებში გადაგზავნილია გასაცნობად და შემდგომში რეკონდაციების მისაღებად.
 3. სისტემატიურად ხორციელდება მოსწავლეთა (სპორტსმენთა) ელ.ბაზების განახლება და მეცადინეობების ცხრილების დამტკიცება;
 4. სიახლეების გაცნობის მიზნით პერიოდულად იმართება სპორტული სკოლების მენეჯერებთან და მწვრთნელებთან სამუშაო შეხვედრები.
 5. სააგენტოს სპორტული სკოლების მწვრთნელებმა მიიღეს მონაწილეობა:
 - საქართველოს სპორტული მედიცინისა და ბავშვთა პარასპორტის განვითარების ასოციაციების ერთობლივ კონფერენციაზე: „ფიზიკური რეაბილიტაციის თანამედროვე მეთოდები და კინეზოთერაპია“;
 - კალათბურთის სექციის მწვრთნელებმა მიიღეს მონაწილეობა საქართველოს კალათბურთის ნაკრები გუნდის მწვრთნელების მიერ ორგანიზებული ტრენინგზე;
 - კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი ხელბურთის მწვრთნელთათვის;
 - საქართველოს რაგბის კავშირის , რაგბის განვითარების სასწავლო ცენტრის რაგბის მწვრთნელთა მომზადების I დონის სემინარზე;
- მიმდინარე წლის 30 ივნისიდან 15 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში გამოცხადდა სპორტსმენტათვის საზაფხულო არდადეგები, გარდა იმ სპორტული სექციების სამეჯიბრო ჯგუფებისა, რომლებიც ემზადებიან და მონაწილეობენ სპორტული კალენდრით დაგეგმილ ღონისძიებებში, რაც დამტკიცდა ბრძანებით და შემუშავდა მეცადინეობების ცხრილები.

გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების და ხელშეწყობის სააგენტოს პიარის და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო, მის შემადგელობაში შემავალი სასპორტო სკოლებით, ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული სასპორტო დაწესებულებაა.

აქ სამწვრთნელო საქმიანობას ეწევიან, საყოველთაოდ აღიარებული, გამოცდილი მწვრთნელები, აგრეთვე ახალგაზრდა და პერსპექტიული სპეციალისტები. გორის სპორტულ დარბაზებში აღზრდილია ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების, აგრეთვე პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები სპორტის არაერთი სახეობიდან. მათ არა მხოლოდ გორის, საზოგადოდ საქართველოს სპორტის ისტორიაში აქვთ გამორჩეული ადგილები დამკვიდრებული. აქ, ამჟამადაც ვარჯიშობენ მსოფლიოში ცნობილი, ტიტულოვანი სპორტსმენები, საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრების წევრები.

დღესდღეობით, გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოში, მეცადინეობა მიმდინარეობს სპორტის 19 სახეობაში. მნიშვნელოვანია, რომ ვარჯიში სპორტის ყველა სახეობაში არის უფასო. გარდა ამისა, ჩვენი დარბაზების წარმომადგენელი სპორტსმენების და გუნდების მონაწილეობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გამართულ შეჯიბრებებში, სააგენტო უზრუნველყოფს მათ ტრასპორტით, ანაზღაურებს სპორტსმენთა სამონაწილეო თანხას შეჯიბრებებზე, უზრუნველყოფს მწვრთნელების და სპორტსმენების კვებას, ხოლო ორი, ან სამ დღიანი ტურნირებისას, მათი ღამის თევის ხარჯებსაც.

სააგენტო, წლის განმავლობაში გეგმავს და ახორციელებს არაერთ სპორტულ შეჯიბრებას, თუ ღონისძიებას, რომელიც საზოგადოებაში ინტერესს იწვევს. აღნიშნული ღონისძიებები, სასპორტო სკოლების, სპორტსმენებისა და მწვრთნელების საქმიანობა სააგენტოს პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ, მუდამ ოპერატიულად და ფართოდ შუქდება.

ინფორმაციის გავრცელებასა და საზოგადოებისათვის სრულყოფილად მიწოდებაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს, სააგენტოს პიარის და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების აქტიური თანამშრომლობა საინფორმაციო საშუალებებთან - როგორც ადგილობრივ, ისე ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის მედიასთან.

ამ თვალსაზრისით, პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ, მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია – ფართოდ გაშუქდა ჩვენი გუნდების და სპორტსმენების მიღწევები ყველა სახის (ელექტრონულ, ინტერნეტ და ბეჭდვურ) მედიაში.

სპორტსმენთა მიღწევების და ამასთან, სპორტული ჯგუფების და სპორტით დაინტერესებული ყველა ადამიანისთვის, საჭირო ინფორმაციის მიწოდება, ხორციელდებოდა ტექსტური, ფოტო და ვიდეო მასალით.

ამ მიმართულებით აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელები. „ფეისბუქის“ ჩვენს ოფიციალურ გვერდზე მომხმარებელთა რაოდენობამ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე 10 ათასს მიაღწია. მზარდია „ინსტაგრამსა“ და „იუთუბზე“ მომხმარებელთა რაოდენობა. გარდა ამისა, სააგენტოს საქმიანობის, სპორტული მიღწევების შესახებ ინფორმაცია ფოტო და ტექსტური მასალით განთავსდება შიდა სივრცესა და სპორტულ დარბაზებშიც ხდება.

სააგენტოს პიარის და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, აქტიურად თანამშრომლობს ქართული სპორტის მესვეურებთან, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს ეროვნულ

ოლიმპიურ კომიტეტთან, იმ სახეობების ეროვნულ ფედერაციებთან, რომლებშიც მეცადინეობა, სასწავლო – საწვრთნელი პროცესი მიმდინარეობს ჩვენს სააგენტოში შემავალ სპორტულ სკოლებში. გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების და ხელშეწყობის სააგენტო, თანამშრომლობს, ჩვენი ქვეყნის სხვა მუნიციპალიტეტების სპორტულ დაწესებულებებთან, ერთობლივი პიარ-ღონისძიებების, შეჯიბრებების ორგანიზების თვალსაზრისით.

გასული წლის სექტემბრიდან მასშტაბური ღონისძიებები ტარდება გორში აშენებულ სპორტის სასახლეში. მოგეხსენებათ, რომ სპორტის სასახლე გორს ადრე არასოდეს ჰქონია, შესაბამისად, დარბაზის სივრცეში ჩასატარებელ მასშტაბურ ღონისძიებებს პრაქტიკულად ვერ მასპინძლობდა სპორტული წარმატებებით ცნობილი ჩვენი ქალაქი. გასული წლის სექტემბრიდან კი ეს შესაძლებელი გახდა.

შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარება, მით უფრო თანამედროვე ეპოქაში, შეუძლებელია სათანადო პიარ კამპანიის გარეშე. სწორედ ჩვენი მაქსიმალური მობილიზებით და აქტიურობით, მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანეთ სპორტის სასახლეში, თავისუფალ ჭიდაობაში ნუგზარ სხირელის სახელობის ტურნირის (ნოემბერი), ქართულ ჭიდაობაში წლის უმთავრესი შეჯიბრების - საქართველოს აბსოლუტური ფალავნობის (დეკემბერი), ქართულ კალათბურთში წლის მთავარი შოუს - საკალათბურთო „All Star Game“ -ის (იანვარი), მიუდომი ჭაბუკთა (თებერვალი) და ახალგაზრდებს (მარტი) შორის წლის მთავარი შეჯიბრებების - საქართველოს ჩემპიონატების გამართვაში.

დეკემბერში, დაიგეგმა და ჩატარდა 2021 წლის შემაჯამებელი ღონისძიება სპორტის სასახლეში. მასზე, გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტომ, საზოგადოებას წარუდგინა, მთელი წლის შედეგები, მიღწეული ყველა სახეობაში, რომელშიც მეცადინეობა ჩვენს სპორტულ სკოლებში მიმდინარეობს. ღონისძიებაზე დაჯილდოვდნენ წლის შედეგების მიხედვით გამორჩეული სპორტსმენები და მწვრთნელები.

გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს მიერ, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა კერძო სექტორთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. ვგეგმავთ უფრო მჭიდრო თანამშრომლობას მათთან, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების, აქტივობების განხორციელების მიზნით, რომელიც დამატებით ზეგავლენას მოახდენს ჩვენს მუნიციპალიტეტსა და რეგიონში სპორტის პოპულარიზაციაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდაზე.

სამომავლოდ, იგეგმება სპორტის პოპულარიზაციის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდის მიმართულებით, მსოფლიოში ცნობილი გორელი სპორტსმენებისა და

მწვრთნელების უფრო მეტად ჩართვა ახალგაზრდებთან შეხვედრებში, აგრეთვე საქველმოქმედო საღამოებში, აქციებსა და კამპანიებში.

გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო, მუდამ ცდილობს, გორის მუნიციპალიტეტში სპორტში არსებული პოტენციური მაქსიმალურად აითვისოს, სპორტულ სკოლებში მიმდინარეობდეს მუდამ ნაყოფიერი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა და შედეგი, რომელშიც ყველაზე მეტად აისახება გაწეული შრომა - იყოს მზარდი, როგორც მედლების ხარისხით, ისე რაოდენობით.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს

სტრუქტურული ერთეულებია:

- სააგენტოს ადმინისტრაციული განყოფილება; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის

განყოფილება;

- სპორტული ღონისძიებების დაგეგმვისა და მონიტორინგის განყოფილება;
- პიარი და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;
- მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტული ტურიზმის ცენტრი;
- ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლა;
- გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლა;
- ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა;
- შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლა, რომლის დაქვემდებარებაშიც

შედის გორის რაიონში არსებული შემდეგი სექციები: სოფელი ქვახვრელი, ფლავისმანი, სკრა, ზერტი, მერეთი, ატენი, ზედდულეთი - ძიუდოს სექცია, სოფელი ქორდი - თავისუფალი ჭიდაობის სექცია;

- ძიუდოს კლუბი „Golden Gori“;
- თავისუფალი ჭიდაობის კლუბი „F.W. Skhireli club“.

- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოში

დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა სულ 2021 წელს დაახლოებით, შეადგენდა 261 - ს. აქედან 22 - შტატით, 239 - შტატგარეშე დასაქმებული თანამშრომელი.

- 2022 წლის მდგომარეობით დღემდე დაახლოებით, „სააგენტო“ში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა: 21- შტატით; 241- შტატგარეშე; სულ - 262 დასაქმებული.

- დღეის მდგომარეობით, დასაქმებულთა შორის 8 - ომის მონაწილეა; 5 - მაღალმთიან

ზონაში მაცხოვრებელი დასაქმებული; საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი - 21 თანამშრომელი; სპორტის დამსახურებულ მოღვაწე - 12 თანამშრომელი.

- 2021,2022 წელს სააგენტოს 6 თანამშრომელს გაუკეთდა წარდგინება მერიაში დამსახურებული მუშაკის და მწვრთნელის წოდების მინიჭების თაობაზე .

- პანდემიის (COVID-19) რთულ პირობებში სამსახურობრივი უფლებამოსილების პირნათლად და მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებისათვის, მადლობა გამოეცხადათ ბრძანებით, პირად საქმეში შეტანილ „სააგენტოს“ 22 თანამშრომელს:

- დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა განესაზღვრათ - 29 თანამშრომელს. (2021, 2022

წ.წ.)

- 2021 წლის სექტემბრიდან დღემდე „სააგენტოში“ დასაქმდა 12 თანამშრომელი; გათავისუფლდა - 38 თანამშრომელი .(აქედან - 6 – პ/განცხადებით; 2 - გარდაცვალების გამო; 3 - საზღვრგარეთ წასვლის გამო; 2 - სხვა სამსახურში დასაქმების გამო; 24 - არ გაუგრძელდათ შრ. ხელშეკრულება.)

- სააგენტოს HR მენეჯერის მხრიდან სისტემატურად მიმდინარეობს სააგენტოს პერსონალის

მართვასთან დაკავშირებული სამუშაოების ორგანიზება, კოორდინაცია და კონტროლი;

- შრომით ურთიერთობების მონაწილე მხარეების ინტერესებში გარკვევა, შესაძლო კონფლიქტების შეფასება, დასაქმებულთა ურთიერთობების არაფორმალური მხარეების შეწავლა;

- სააგენტოს პერსონალის პირადი საქმეების წარმოება, მოწესრიგება და შენახვა დადგენილი

წესის შესაბამისად, შრომის წიგნაკების წარმოება;

- შემოსული კორესპონდენციის განხილვა სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში;
- სააგენტოს პერსონალის მიმდინარე და ჯამური სტატისტიკური ანგარიშების შედგენა და

შესაბამისი სტრუქტურებისადმი მიწოდება დადგენილი ფორმებისა და წესის შესაბამისად;

- საპენსიო ასაკის თანამშრომლებზე პენსიის დანიშვნისათვის საჭირო საბუთების მომზადება;

- საკადრო საკითხებზე (სამუშაოზე მიღება, გათავისუფლება, გადაყვანა, წახალისება, დისციპლინური პასუხისმგებლობა და ა.შ.) ბრძანებათა პროექტების მომზადება და შესაბამისად სააგენტოს ხელმძღვანელის წინაშე წარდგენა;

- პერსონალის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და შესაბამისად სააგენტოს

ხელმძღვანელისადმი წარდგენა;

- სააგენტოს ხელმძღვანელობას განსახილველად წარუდგენს წინადადებებს სამსახურის

პერსონალთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

- ახორციელებს პერსონალის საინფორმაციო ბაზის გამოყენებით დასაქმებული პერსონალის

პირადი მონაცემების განახლება-სრულყოფას;

- ახორციელებს პერსონალის პირადი საქმეების მოწესრიგებას და შენახვას დადგენილი წესის

შესაბამისად.

2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის 10 ივლისამდე შრომის უსაფრთხოების განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ

მოგახსენებთ, რომ ჩემს მიერ გასული ერთი წლის განმავლობაში (2021 წლის 1 სექტემბრიდან) ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) და მის დაქვემდებარებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებში სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს კანონის „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიების დაცვის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 ივლისის დადგენილება N341-ით დამტკიცებული „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, სხვა მოქმედი საკანონმდებლო ნორმატიული აქტების საფუძველზე და ჩემს მიერ სააგენტოში მომზადებული და დამტკიცებული შიდა სარეგულაციო დოკუმენტების (წესები):

- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა;
- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს შრომის შინაგანაწესი;

- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოში ახალი კორონავირუსის (COVID – 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარების წესი;
- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოში რისკის შეფასების წესი;
- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს ავტო სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაციისა და მართვის უსაფრთხოების წესი;
- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
საფუძველზე და მოთხოვნათა შესაბამისად, აღნიშნულ სააგანგარიშო პერიოდში სისტემატურად ვახორცილებდი შემდეგ ღონისძიებებს:
- სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეულის სარგებლობაში გადაცემული შენობების (ადმინისტრაციული და საწვრთნელი (დარბაზები) სკოლოლები) დათვალიერება მათი კონსტრუქციული მედეგობის, არსებული კომუნიკაციების (ელექტრო გაყვანილობა, ბუნებრივი აირი, წყალი, კანალიზაცია) საინჟინრო-ტექნიკური გაყვანილობის და ექსპლოატაციის წესების შესაბამისობის დადგენა არსებუ სტანდარტებსა და უსაფრთხოების ნორმებთან დადგენის მიზნით;
- სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში არჩეული ადგილებზე შრომის უსაფრთხოების წარმომადგენლებთან ერთად, ყოველდღიურ რეჟიმში ვახდენდი სააგენტოსთვის გადმოცემულ შენობებში მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირებას და შესაძლო რისკების განსაზღვრას. საფრთხის აღმოჩენის შემთხვევაში მათ დეტალურ აღწერას, დასურათებას და საფრთხის აღმოსაფხვრელად ან შესამცირებლად საჭირო პრევენციული ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას;
- ქვეყანაში კოვიდპანდემიის გავრცელების გამო დაწესებული შეზღუდვების პერიოდში სააგენტოს თანამშრომლებს ჩემს მიერ სისტემატურად მიეწოდებოთ ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული რეგულაციებისა და რეკომენდაციების შესახებ. გარდა ამისა ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ჩემი ინიციატივით სააგენტოში გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სახის პრევენციული ღონისძიებები როგორცაა: სააგენტოს თანამშრომლების გარკვეული ნაწილის მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანა, სასწავლო და საწვრთნელი პროცესების გარკვეული ვადით შეჩერება, თანამშრომლების აღჭურვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (პირბადეები, ხელტათმანები), შენობების უზრუნველყოფა საზედინფექციო საშუალებების მიწოდებით და კონტროლი შენობებში ვირუსის სიმპტომების მქონე შესვლაზე (თერმოსკრინინგი) და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების

დაცვაზე (სამუშაო ოთახებში, დერეფნებსა და დარბაზების დეზინფექციის ჩატარება და სხვა);

- სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული თანამშრომლებთან შეხვედრები და მათთვის შრომის და სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე ინსტრუქტაჟების ჩატარება;
- ჩემი ინიციატივით მოწვეულ იქნა შესაბამისი სპეციალისტი, რომელთან ერთად შესწავლილ იქნა სააგენტოსთვის გადმოცემული თითოეული შენობა საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო გასასვლების და გეგმების შედგენის მიზნით, გაკეთდა შენობების საევაკუაციო გეგმები და ნახაზები (ამჟამად კეთდება (იბეჭდება) კედელზე გასაკრავი საინფორმაციო სახის (საევაკუაციო გზების მიმამართულების აღმნიშვნელი სტიკერები);
- იმ შენობებისთვის სადაც არ არსებობდა სახანძრო სტენდები სააგენტოს მიერ შეძენილ იქნა თანამდროვე სტანდარტების შესაბამისი სახანძრო უსაფრთხოების სტენდები.

წარმოგიდგენთ მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების მიერ 2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის ივლისის თვემდე გაწეული მუშაობის შემაჯამებელ ბარათს

სააგენტოს ელექტრიკოსის ალექსანდრ მარტინოვის მიერ სააგენტოს კანცელარიაში შემოსული წერილებისა და მოთხოვნების მიხედვით ახდენს დაზიანებების აღმოფხვრას.

კომუნალური ხარჯების აღმრიცხველ და მაკონტროლებლის გიორგი კაპანაძის მიერ ყოველ თვიურად ხდება მოსული ქვითრების გადამოწმება მონიტორინგი ადგილზე მისვლით რაიმე უსწორობის შემთხვევაში ხდება წერილობით შეტყობინება ზემდგომეზე;

სააგენტოს მძღოლები შეუფერხებლად და დროულად ემსახურებიან როგორც სააგენტოს მიერ დამტკიცებულ სპორტული ღონისძიებების კალენდრით გათვალისწინებულ სპორტულ ღონისძიებებს, ასევე არა კალენდრულ ღონისძიებებს;

ტრანსპორტის ზედამხედველი სპეციალისტი ომარ ტეტუნაშვილი ყოველ თვიურად ახდენს ჩვენს სამსახურზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოწმება დათვალისწინებულ რაიმე დაზიანებებისა ან დაფექტების შესახებ მახსენებს მოხსენებითი ბარათების მეშვეობით (შემდგომ ჩემს მიერ ხდება ხემძღვანელობისათვის მიწერა მოხსენებით ბარათების მეშვეობით), აღრიცხავს ყოველივე გასვლას ცალკეულად საგზურების მეშვეობით, ასევე ყოველ თვიურად ხდება გახარჯული საწვავის აღრიცხვა ჩამოწერა (ჩამოწერის აქტების მეშვეობით);

ტექნიკური მომსახურების პერსონალის ზედამხედველი ომან ხერხეულიძე აწარმოებდა ტექ.მომსახურე პერსონლის მონიტორინგს რადგანაც ჩვენს სააგენტოში შემომავალ სპორტულ დარბაზებსა და სკოლებში დაცული იყოს ჰიგიენის ნორმები, დარაჯების მიერ რომ არ იქნას დარღვეული შ/ხ-ით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება;

სააგენტოს საწყობის უფროსისა და საწყობის უფროსის თანაშემწის მიერ ხორციელდებოდა სააგენტოს მიერ შეძენილი მატერიალური ფასეულობების მოხსენებითი ბარათის საფუძველზე საწყობის შემოსავალში აღება და გაცემულ მატერიალურ ფასეულობებზე შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტების შედგენა.

ჩემი განყოფილების სპეციალისტი გვანცა ჯირკველიშვილი ახდენს შემოსული წერილების, გასული წერილებისა და მოხსენებითი ბარათების აღრიცხვას, ასევე ჩამოწერის აქტების საგზურების წარმოებას და აწარმოებს განყოფილების დოკუმენტაციას.

მოგახსენებთ რა ყოველივე ზემოთ აღნიშნულს მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების თანამშრომლების მუშაობა მიმაჩნია დამაკმაყოფილებლად..

2021 წელს ჩატარებული შიდა შეჯიბრებები

1. 17 ოქტომბერს გიორგი კანდელაკის სახელობის სოფ.ვარიანი კრივის სკოლაში ჩატარდა ღია რინგი მოსწავლე-მოკრივეთა შორის.
2. 30 ოქტომბერს გიორგი კანდელაკის სახელობის სოფელ ვარიანის კრივის სკოლაში ჩატარდა ღია რინგი მოსწავლე - მოკრივეთა შორის.
3. 7 ნოემბერს გიორგი კანდელაკის სახელობის სოფელ ვარიანის კრივის სკოლაში ჩატარდა ღია რინგი მოსწავლე - მოკრივეთა შორის.
4. 12 – 14 ნოემბერს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნუგზარ სხირელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის.
5. 2 –5 დეკემბერის შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გიორგი კარელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება კრივში მოსწავლე-მოკრივეთა შორის.
6. 25 დეკემბერის გიორგი კანდელაკის სახელობის სოფ.ვარიანი კრივის სკოლაში ჩატარდა ღია რინგი მოსწავლე-მოკრივეთა შორის.

2022 წელს ჩატარებული შიდა შეჯიბრებები

1. 25 იანვარს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის პარამკლავჭიძეში იოსებ დურგლიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება.

2. 29 იანვარს გიორგი კანდელაკის სახელობის სოფ.ვარიანი კრივის სკოლაში ჩატარდა ღია რინგი მოსწავლე-მოკრივეთა შორის.
3. 12 თებერვალს გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიაობის კომპლექსურ სკოლაში ჩატარდა სკოლის პირველობა 208–2009 წ.წ. და 2010–2011 წ.წ. დაბადებულ ძიუდოსტთა შორის.
4. 26 – 27 თებერვალს ნუგზარ სხირელის სახელობის ჭიდაობის სპეციალიზირებულ სკოლაში ჩატარდა სპორტის ოსტატის ბადრი ბარამიძისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივნის ომზარ შოშიტაიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში 2011–2012 წ.წ. დაბადებულ სპორტსმენტთა შორის.
5. 25 – 26 მარტს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა სკოლის პირველობა ძიუდოსა და თავისუფალ ჭიდაობაში.
6. 2 – 3 აპრილს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა სკოლის პირველობა კარატესა და ტაეკვონდოში.
7. 5 – 7 აპრილს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ახალგაზრდებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში გიორგი ხინჩეგაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება 2008–2009 წ.წ. დაბადებულ მოჭიდავეთა შორის.
8. 13 – 14 აპრილს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა სკოლის პირველობა ხელბურთში, კალათბურთსა და ფრენბურთში.
9. 30 აპრილს გორში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონის კიკ-ბოქსინგში ვახტანგ ქუთათელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ახალგაზრდებს შორის.
10. 13, 14, 15 მაისს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა საქართველოს პირველობისათვის შესარჩევი შეჯიბრება ბატუტზე ხტომაში, შიდა სასკოლო ჩემპიონატი ხელბურთში და შეჯიბრება ეროვნულ თამაშებში.
11. 21 მაისს გიორგი კანდელაკის სახელობის სოფ.ვარიანი კრივის სკოლაში ჩატარდა ღია რინგი მოსწავლე-მოკრივეთა შორის.
12. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გაიმართა შეჯიბრება მკლავჭიდაში.
13. 1 ივნისს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ტანვარჯიშში.
14. 15 – 19 ივნისს გორის სპორტის სასახლეში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გიორგი კანდელაკის სახელობის შეჯიბრება კრივში ახალგაზრდებს შორის.

9 ივლისს გიორგი კანდელაკის სახელობის სოფ.ვარიანი კრივის სკოლაში ჩატარდა ღია რინგი მოსწავლე-მოკრივეთა შორის.

ფინანსური ანგარიში

ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს ანგარიში 2021 წელს გაწეული საქმიანობის ფინანსური მდგომარეობის შესახებ

სააგენტოს 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 2063000 ლარს. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით: შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 279430 ლარის ოდენობით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 1287450 ლარით, მივლინება 22000 ლარით, ოფისის ხარჯი 185319 ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯი 7461 ლარით, სამედიცინო ხარჯი 14500 ლარით, კვების ხარჯი 420 ლარით, რბილი ინვენტარი და უნიფორმის შეძენის ხარჯი 10000ა ლარით, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 70232 ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 14000 ლარით, სხვა ხარჯის (სპორტული ღონისძიებების დაფინანსება) 169188 ლარით, არაფინანსური აქტივების შეძენისათვის განისაზღვრა 3000 ლარი.

2021 წლის გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სააგენტოს 2021 წლის საკასო ხარჯმა შეადგინა - 2028957 ლარი, იმავე პერიოდის მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურების მუხლით გაიხარჯა - 279430 ლარი,
2. შტატგარეშე თანამშრომელთა ხელფასზე - 1286748 ლარი,
3. მივლინებებზე - 19179 ლარი,
4. ოფისის ხარჯები შეადგენს - 176077 ლარს,
5. წარმომადგენლობითი ხარჯი - 7191 ლარს,
6. კვების ხარჯი - 420 ლარს,
7. სამედიცინო ხარჯი - 10575 ლარს,
8. რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის ხარჯი - 9903 ლარს,
9. ტრანსპორტის ექსპლუატაციის მოვლა-შენახვის ხარჯი - 59859 ლარს,
10. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი--13866 ლარს,
11. სხვადასხვა (სპორტული ღონისძიებების) ხარჯი - 163059 ლარს,
12. შეძენილია არაფინანსური აქტივები თანხით 2650 ლარი .

რაც შეეხება 2022 წელს ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 2163000 ლარს.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით: შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 274200 ლარის ოდენობით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 1368800 ლარით, მივლინება 29000 ლარით, ოფისის ხარჯი 171400 ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯი 14000 ლარით, სამედიცინო ხარჯი 6560 ლარით, რბილი ინვენტარი და უნიფორმის შეძენის ხარჯი 6000 ლარით, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 80260 ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 26562 ლარით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი 7300 ლარით, სხვა ხარჯის (სპორტული ღონისძიებების დაფინანსება) 175918 ლარით, არაფინანსური აქტივების შეძენისათვის განისაზღვრა 3000 ლარი.

დღეის მდგომარეობით გაწეული ხარჯებია:

1. შრომის ანაზღაურებაზე - 130722 ლარი,
2. შტატგარეშე თანამშრომელთა ხელფასზე - 661164 ლარი,
3. მივლინებებზე - 14152 ლარი,
4. ოფისის ხარჯები შეადგენს - 138404 ლარს,
5. წარმომადგენლობითი ხარჯი - 11514 ლარს,
6. სამედიცინო ხარჯი - 2136 ლარს,
7. რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის ხარჯი - 4478 ლარს,
8. ტრანსპორტის ექსპლუატაციის მოვლა-შენახვის ხარჯი - 35938 ლარს,
9. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი -- 18916 ლარს,
10. სოციალური უზრუნველყოფა -- 2651 ლარს,
11. სხვადასხვა (სპორტული ღონისძიებების) ხარჯი - 115050 ლარს,
12. შეძენილია არაფინანსური აქტივები თანხით 1960 ლარი .

საანგარიშო პერიოდში გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თანხების ხარჯვა ხორციელდება წინასწარ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს 2021–2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში

2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის ივლისის ჩათვლით სააგენტოში გაფორმდა 115 ხელშეკრულება. აქედან გამარტივებული შესყიდვის გზით, მონეტარული ზღვრის დაცვით 104, საერთო ჯამური ღირებულებით 91917,38 ლარი, ხოლო წარმომადგენლობითი ხარჯის საფუძველზე 11 ხელშეკრულება, 44588 ლარი. აქედან 16 კონსოლიდირებული ტენდერი 73837.30 ლარი და 1 (NAT) ტენდერი აუქციონის გარეშე-2000 ლარი, ჯანდაცვის სფეროს მომსახურებისათვის, კერძოდ სპორტსმენების გასატესტად.

გამარტივებული შესყიდვები ძირითადად მოიცავდა პირველად საჭიროებებს სააგენტოს ფუნქციონირებისათვის, კერძოდ სამეურნეო საქონლის, საკანცელარიო ნივთების, ჰიგიენური საშუალებების, სპორტული და საოფისე ინვენტარის, ავტომობილის შეკეთების ხარჯებს. წარმომადგენლობითი ხარჯები მოიცავდა ჩვენს მიერ ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებისთვის, მოწვეული სპორტსმენების სასტუმროთი და კვებით უზრუნველყოფას, ასევე საზეიმო დახურვის ცერემონიის ხარჯებს. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შევისყიდეთ სააგენტოს პირველადი საჭიროებისათვის ფარმაცევტული პროდუქტები. ასევე კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები სააგენტოს ბალანსზე რიცხული 3 ავტომობილისათვის ზეთების, ზეთის ფილტრების და საწვავის შესყიდად.

გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლა

სექცია	ლონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	ჩატარების ადგილი	მონაწილეთა რაოდენობა	პასუხისმგებელი მწვრთნელი	შედეგი
სამბო	საქართველოს პირველობა ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის	12 - 13 თებერვალი	თბილისი	5 სპორტსმენი/ 1 მწვრთნელი	იოსებ ფუხაშვილი	პირველი ადგილი: გიორგი ინაშვილი.

გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა

2021 წელს ჩატარებული სპორტული ღონისძიებები

№	სექცია	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	ჩატარების ადგილი	მონაწილეთა რაოდენობა	პასუხისმგებელი მწვრთნელი	შედეგი
1	ძიუდო	საქართველოს ჩემპიონატი დიდებში	18 – 21 ნოემბერი	თბილისი	30 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	იოსებ ფუხაშვილი	პირველი ადგილი – თემურ ნოზაძე, მეორე ადგილი – გიორგი პაპუნაშვილი. მესამე ადგილი – ლამა ნადირაძე.
2	ძიუდო	საქართველოს პირველობა გოგონათა შორის	20 – 21 ნოემბერი	თბილისი	3 სპორტსმენი/ 1 მწვრთნელი	მარიამ მახარაშვილი	პირველი ადგილი – ეთერ ასკოლაშვილი. მეორე ადგილი – რეგინა უთნელიშვილი. მესამე ადგილი – ანი მოციქულაშვილი.
3	ძიუდო	რესპუბლიკური ტურნირი 2005–06 წ.წ. და 2007–08 წ.წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის	28 – 29 ნოემბერი	ბორჯომი	30 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	ირაკლი ლომიძე	პირველი ადგილი – დავით სადალაშვილი, ნოდარ კობალაძე, ანრი ტურაშვილი, შოთიკო ლოთიშვილი. მეორე ადგილი – საბა საბაშვილი, გიორგი ბაბუციძე, გოგოა ასკილაშვილი. მესამე ადგილი – გიორგი ქარელიშვილი, გიორგი პაპუკიშვილი, არსენ დვალიშვილი.

2022 წელს ჩატარებული სპორტული ღონისძიებები

№	სექცია	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	ჩატარების ადგილი	მონაწილეთა რაოდენობა	პასუხისმგებელი მწვრთნელი	შედეგი
		საქართველოს ჩემპიონატის	4, 5, 6		30 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	იოსებ ფუხაშვილი	პირველი ადგილი – თემურ ნოზაძე, მეორე ადგილი – გიორგი პაპუნაშვილი. მესამე ადგილი – ლამა ნადირაძე.

1	ძიუდო	სალიცენზიო შეჯიბრი ჭაბუკთა შორის	4 - 5 - 6 თებერვალი	თბილისი	2 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	კეკელიძე ბაზანდარაშვილი	ლიცენზია მოიპოვა 21 სპორტსმენმა
2	ძიუდო	საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის	19 - 20 თებერვალი	გორი	20 სპორტსმენი/ 1 მწვრთნელი	ვეფხია ბაზანდარაშვილი	პირველი ადგილი - ოთარ სამნიაშვილი (50 კგ), საბა სამადალაშვილი (66 კგ), თამაზ ბიგანაშვილი (+90 კგ).მესამე ადგილი - საბა საბაშვილი (55 კგ), დავით ქარელი (60 კგ), ლუკა თურაზაშვილი (73 კგ).
3	ძიუდო	საქართველოს ჩემპიონატი გოგონათა შორის	19 - 20 თებერვალი	გორი	5 სპორტსმენი/ 1 მწვრთნელი	მარი მახარაშვილი	პირველი ადგილი-ეთერ ასკილაშვილი(63), მეორე ადგილი-ნინო იაშვილი(48), სალომე სტეფანაძე(57), მესამე ადგილი-გვანცა გვარამაძე(63),რეინა უთნელიშვილი(63).
4	ძიუდო	საქართველოს ჩემპიონატის მეორე დონე	25 - 27 თებერვალი	თბილისი	8 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	იოსებ ფუხაშვილი	წაგება
5	ძიუდო	თელავის გრანდ-სლემი	თებერვალი	ისრაელი	1 სპორტსმენი	ანზორ თენაძე	წაგება
6	ძიუდო	საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრი ახალგაზრდებს შორის	5-6 მარტი	თბილისი	17 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	ვეფხია ბაზანდარაშვილი	ლიცენზია მოიპოვა 11 სპორტსმენმა
7	ძიუდო	საქართველოს პირველობა 2007-2008 წ.წ. დაბადებულ	12 - 13 მარტი	თბილისი	17 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	გიორგი ფერსაშვილი	პირველი ადგილი:ლუკა დათიაშვილი; მეორე ადგილი: ნოდარ კობალაძე; მესამე ადგილი: გიორგი ბაზანდარაშვილი

		ჭაბუკებს შორის(ქვეჭიღში)	თარიღი		სპორტული		იაიუციფე, გიორგი ზურაბაშვილი, ალექსანდრე ჭიჭელაშვილი, მურაზ ერისთავი.
8	ძიუდო	საქართველოს პირველობა 2002-2004 წ.წ. დაბადებულ ახალგაზრდებს შორის	18 - 20 მარტი	გორი	11 სპორტსმენი	იოსებ ფუხაშვილი	პირველი ადგილი-არჩილ მამულაშვილი (90 კგ), მესამე ადგილი - ალექო კასრაძე (66 კგ), ლუკა ბაბუციძე (81 კგ).
9	ძიუდო	გენო ადამიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი 2007-2008 და 2009-2010 წ.წ. დაბადებულ გოგონათა შორის	1 - 2 აპრილი	თბილისი	9 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	ირაკლი ლომიძე	პირველი ადგილი - მარიამ იაშვილი, ლალი მაზანაშვილი, ქრისტი მაზანაშვილი. მესამე ადგილი - ნატალი იაშვილი, მარიამ ბოჭორაძე, ანა ტიელიძე.
10	ძიუდო	საქართველოს პირველობა 2007-2008 წ.წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის	9 აპრილი	თბილისი	13 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	ვეფხია ბაზანდარაშვილი	პირველი ადგილი - მურად ერისთავი(66 კგ), ნოდარ ვობაძე(+73). მეორე ადგილი - ლუკა დათაშვილი(50კგ), დავით სადალაშვილი(46კგ). მესამე ადგილი - ირაკლი მარკოზაშვილი.
11	ძიუდო	საქართველოს პირველობა 2006 წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის	9 - 10 აპრილი	თბილისი	7 სპორტსმენი/ 1 მწვრთნელი	ირაკლი ლომიძე	წაგება
12	ძიუდო	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის თასი	1 მაისი	ბორჯომი	22 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	გიორგი თათრიშვილი	პირველი ადგილი - ირაკლი მარკოზაშვილი(46კგ), გიორგი ბაბუციძე(55კგ), დავით ქარელი(60კგ); მეორე ადგილი - ლუკა დათაშვილი(50 კგ); მესამე ადგილი - დათო სადალაშვილი (46კგ), ილია ყველაშვილი(66კგ), ნოდარ

							კობალაძე(+73კგ), საბა ბარიშვილი(55 კგ),ნუგზარ ბუჯიაშვილი(60კგ).
13	ძიუდო	განთიადის ღია პირველობა გოგონთა შორის	7-8 მაისი	თბილისი	10 სპორტსმენი/ 1 მწვრთნელი	მარი მახარაშვილი	პირველი ადგილი - მარიამ იაშვილი (28კგ), ქრისტი მაზანაშვილი (40კგ), ნატალი იაშვილი (44კგ), მაკა ჯანიაშვილი (52კგ), ქეთი რობაქიძე (63კგ). მეორე ადგილი - მარიამ ბოჭორიძე (32 კგ). მესამე ადგილი - დალი მაზანაშვილი (52 კგ).
14	ძიუდო	ევროპის თასი	19 - 26 მაისი	პოლონეთი	1 სპორტსმენი	ანზორ თენაძე	მესამე ადგილი - დავით ქარელი
15	ძიუდო	რამაზ ხარშილაძის სახელობის ტურნირი	21 - 22 მაისი	ხაშური	30 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	ვეფხია ბაზანდარაშვილი	პირველი ადგილი - გიორგი წურიაშვილი (+50 კგ). მეორე ადგილი - გივი თაბუაშვილი (46 კგ),ტატო საბაშვილი (42 კგ), ლუკა ტაბატაძე (55 კგ). მესამე ადგილი - პავლე ლომიძე (27 კგ), ლაშა სეხნიაშვილი (38 კგ), ლექსო მიჩიტაშვილი (46 კგ), დავით ფსუტური (50 კგ),თორნიკე გიუნაშვილი (66 კგ),თაზო ყველაშვილი(46კგ).
16	ძიუდო	ლაშა მდებრიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი	28 მაისი	გურჯაანი	10 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	ირაკლი ლომიძე	პირველი ადგილი - დავით სადალაშვილი (46 კგ), გიორგი ზუბაშვილი 73კგ) მეორე ადგილი - არსენ დვალიშვილი (46 კგ), გიორგი

							ბაბუციძე (55 კგ). ძესაძე ადგილი - ბაჩო დემეტრაშვილი (73 კგ).
17	ძიუდო	ევროპის თასი	2 – 6 ივნისი	ავსტრია	1 სპორტსმენი	ანზორ თენაძე	წაგება
18	ძიუდო	ნანა კირკიტაძის სახელობის ტურნირი გოგონათა შორის	17 – 19 ივნისი	ხელვაჩაური	14 სპორტსმენი/ 1 მწვრთნელი	მარი მახარაშვილი	პირველი ადგილი – ნინი იაშვილი (48 კგ), ნუცა თათრიშვილი (57 კგ), ქრისტი მაზანაშვილი (40 კგ). მეორე ადგილი – მარიამ იაშვილი(). მესამე ადგილი – მარი ბოჭორიძე, ნატალი იაშვილი, დალი მაზანაშვილი, მაკა ჯანიაშვილი, ქეთი რობაქიძე, სალომე სტეფნაძემ (57 კგ).

ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლა

2021 წელს ჩატარებული სპორტული ღონისძიებები

№	სექცია	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	ჩატარების ადგილი	მონაწილეთა რაოდენობა	პასუხისმგებელი მწვრთნელი	
1	კრივი	ჭიათურის ღია ჩემპიონატი	16 – 17 ოქტომბერი	ჭიათურა	15 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	ბადრი ყულუმბეგაშვილი	პირველი მინდიაშვილი პავლიაშვილი დარბაჩი ჭუჭყიაძე ქორჩაშვილი ივანიშვილი გოგინაძე
2	კრივი	ამხანაგური შეხვედრა	20 – 21 ნოემბერი	ქუთაისი	15 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	ბადრი ყულუმბეგაშვილი	პირველი ჭუჭყიაძე პავლიაშვილი ნონი გოგინაშვილი დემურ წიკაძე ზუბა
3	კრივი	ღია რინგი ჭაბუკებსა და უმცროსი ასაკის ჭაბუკებს შორის	10 – 12 დეკემბერი	ზუგდიდი	16 სპორტსმენი / 2 მწვრთნელი	ბადრი ყულუმბეგაშვილი	პირველი ნიქა კურდღელი ქოთაშვილი ჭუჭყიაძე მარია ნონი ივანიშვილი ზუბა მიქაძე
4		ზურაბ სარსანიას სახელობის სპორტული	21 – 25		2 სპორტსმენი/	ბადრი	პირველი არბოლი

4	კრივი	სახელოის საერთაშორისო ტურნირი	დეკემბერი	ფოთი	3მწვრტნელი	ყულუმბეგაშვილი	ად ნ
---	-------	-------------------------------	-----------	------	------------	----------------	---------

2022 წელს ჩატარებული სპორტული ღონისძიებები

№	სექცია	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	ჩატარების ადგილი	მონაწილეთა რაოდენობა	პასუხისმგებელი მწვრთნელი	
1	კრივი	საქართველოს ჩემპიონატი უფროსი და ახალგაზრდა ასაკის მოკრივეთა შორის	23 - 27 თებერვალი	ბათუმი	12 სპორტსმენი/ 3 მწვრთნელი	ბადრი ყულუმბეგაშვილი	პირველ ნიქა ნაზარა ად ზუბა მარგი ცერცვ გუცაევი(ა ა ქელეს ა
2	კრივი	მიხეილ კაპატაძის სახელობის ტურნირი	9 - 12 მარტი	ქუთაისი	9 სპორტსმენი/ 3 მწვრთნელი	ბადრი ყულუმბეგაშვილი	პირველ დენ მელანა წიკლაურ ნოდარ დავით ადგ კურდღ გ
3	კრივი	საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკ მოკრივეთა შორის	5-10 მარტი	ფოთი	8 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	ბადრი ყულუმბეგაშვილი	პირველ ნიქაბა დემური ადგილი -

							(48 მინტ
4	კრივი	საქართველოს ჩემპიონატი მოსწავლე - მოკრივეთა შორის	3 - 8 მარტი	მარნეული	4 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	ბადრი ყულუმბეგაშვილი	პირველი არბოლიმ, ადგილი - კე), გიგ
5	კრივი	ევროპის ჩემპიონატი	21 - 31 მაისი	ერევანი	1 სპორტსმენი	ილია ტლაშაძე	
6	კრივი	თენგიზ ჯაოშვილისა და სპარტაკ ასანიძის მემორიალური ტურნირი	26-29 ივნისი	ჭიათურა	8 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	ბადრი ყულუმბეგაშვილი	მეორ დვალ მესამე ცეცხლ დელ

შედეგი

დადგენილი – ნოდარ
კილი(44კგ),თემურ
კილი(38კგ),ცოტნე
აძე(54კგ), ზვიად
ნი(28კგ),როსტომ
კილი(40კგ),ოთარ
კილი(66კგ), საბა
ნაშვილი(50კგ).

დადგენილი – ზვიად
ყიანი,თემურ
ნაშვილი,გიგი
კაშვილი,საბა
ნაშვილი,ლევან
ქროვი, მიხეილ
ქლაური,ნიკა
უზიაშვილი.

დადგენილი – დავით
აბაძე,გიორგი
ქლაშვილი,ონარი
ნაშვილი,ზვიად
ქუციანი,ანი
ბეიევი,გიგი
